საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 100 (6477) 5 სექტემბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიხმობთ გონიერებისაკენ

2 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარდა არასანქცირებული მიტინგი, რომელზეც მოხდა ინციდენტი, დაიჭრა რამდენიმე მოქალაქე.

მომხდარმა ფაქტმა აღაშფოთა რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. დღეს, როცა საქართველოს სრულ, ნამდვილ თავისუფლებამდე, როგორც იტყვიან, საათებიღა დარჩა, პირდაპირ მიუღებელია ასეთი მიტინგები და დაპირისპირება ხელისუფლებასთან, პრეზიდენტთან.

დღეს ყველა, მით უფრო, ის, ვისაც ერი ეროვნულ წინამძღოლად თვლის, უნდა დაირაზმოს ერთის სულისკვეთებით—საქართველოს ვანაცვალოთ პირადი ამბიციები და ზრახვები, ერთმანეთს მივუტევოთ შეცდომები და წარსული.

რაიონის მშრომელები ერთსულოვნად გმობენ მომხდარ ფაქტს და მხარს უჭერენ საქართველოს მთავრობას საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში.

ქვვეით ვბეჭდავთ რამდენიმე მოვლენებზე.

დაგვიანებული ღირსება

2 სექტემბერს ქ. თბილისში მომხდარი ინციდენტი შავი ასოებით შევა საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

მაშინ, როცა თითქმის გადაწყვეტილია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, როცა დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ღალატის ტოლფასია არეულობის, დაპირისპირების ყოველგვარი გამოვლინება, რაც ჰქმნის გარკვეულ დაბრკოლებებს

გამოხმაურებას 2 სექტემბრის

სანუკვარი ოცნების ახდენის გზაზე.

ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ვალდებულია ამ გადამწყვეტ მომენტში გამსჭვალული იყოს ერთი საერთო მიზნით—საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობის აღდგენით.

დრო და ისტორია განსაზღვრავს, ვინ უკეთესი პოლიტიკოსი და პატრიოტია, მაგრამ, როცა ჩვენი სამშობლოს ბედი წყდება, ამ შემთხვევაში ერი და ბერი საერთო ძალისხმევით, ერთმანეთის გვერდით დგომით უნდა გამოხატავდეს თავის პოზიციას ერის სამომავლო ინტერესებისათვის, დგომბისა და შეჩვენების ღირსია ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს პრეზიდენტის ყოველგვარი შეურაცხყოფა, დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

ლილი კვირკაშვილი,

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის მუშა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიას

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციას

ცაგერის რაიონის სოფელ ალპანის საკრებულოს ექვსივე სოფლის მოსახლეობა ერთსულოვნად გიჭერდნენ და კვლავაც გიჭერენ მხარს, ბატონო ზვიად. თქვენ და თქვენს გვერდით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ პარლამენტს. გვწამს და გვჯერა თქვენს მიერ არჩეული გზისა და გთხოვთ თქვენ, როგორც პრეზიდენტმა გამოიყენოთ თქვენი უფლებამოსილება, რათა უმკაცრესად იქნას დასჯილი ყველა ის პიროვნება, ვინც ცდილობს საქართველოს დამოუკიდებლობას და სრულ თავისუფლებას შეუშალოს ხელი ისე, როგორც ეს მოხდა ორ სექტემბერს.

მოვითხოვთ უმკაცრესად იქნენ დასჯილნი გ. ჭანტურია, რ. ჩხეიძე, ნ. ნათაძე და ორ სექტემბერს მოწყობილი ექსცესების სხვა მოთავენი.

ალპანის სოფლის საკრებულოს მცხოვრებთა სახელით საკრებულოს გამგებელი

თ. გურჯალიანი.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციას

მთელი საქართველო შეაშფოთა 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში მომხდარმა ამბავმა. ცაგერის რაიონის ალპანის სამკერვალო ფაბრიკის 87 კაციანი კოლექტივი უერთდება ქართველი ერის შეშფოთებას. მეორე დღესვე მოწვეული იქნა კოლექტივის საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა 84 კაცი და ერთსულოვნად დაგმეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გ. ჭანტურიას და ამავე პარტიის სხვა წევრების არაკანონიერი მოთხოვნები ხელისუფლების მიერ არჩეული მთავრობის მიმართ.

კოლექტივის ყველა წევრის აზრია, რომ ისეთ დროს, რა დროშიც ქართველი ერი ცხოვრობს, როცა ასე ახლოს არის დიდი ხნის ნანატრი ოცნება, რასაც დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია, ყოვლად გაუმართლებელია ბატონ ჭანტურიასა და მისი თანამზრახველების არაკანონიერი მოთხოვნები.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი მოვითხოვთ, მთელი კანონის სიმკაცრით დაისჯოს ყველა ის პირი, რომელიც ხელს უშლის ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ მთავრობას ნორმალურ მუშაობაში.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის სახელით ამავე ფაბრიკის უფროსი

ბადრი ფრუიძე.

დაისაჯონ

რადიოთი და ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ქ. თბილისში მოაწყო მიტინგი, რომლის მიზანი აშკარაა: რესპუბლიკის ერთიულ ადამიანებს და მათზე აყოლილ პირთ არ სურთ ხალხის ნებით არჩეული პარლამენტი და მისი მთავრობა. ეს დიდ შეშფოთებას იწვევს ყოველი პატიოსანი ადამიანის გულში.

ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის მოქმედება დაგმობის ღირსია, ნუთუ ამ აქციის ორგანიზატორებმა არ იციან, რომ მიტინგი, რომელიც სანქცირებული არ არის, უკანონოა და მისი მომწყობნი დასჯისა და საყოველთაო გაკიცხვის ღირსნი არიან. მითუმეტეს, რომ მოხდა ინციდენტი, დაიჭრა და საავადმყოფოში სამკურნალო გახდა წესრიგის დამცველი რამდენიმე მუშაკი.

დღეს ყველა ქართველის ვალია შევმჭიდროვდეთ ეროვნული პარლამენტის გარშემო და მხარში ამოვუდგეთ მთავრობას, რათა განვახორციელოთ ნანატრი მიზანი—ეროვნული დამოუკიდებლობა.

სრული კონსოლიდაცია—ასეთია სადღეისო ამოცანა.

ვლ. ხეცურიანი,

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

მოსავალი - 91

რაიონული შტაბი ამოქმედდა

რესპუბლიკაში ამჟამად მძიმე ეკონომიკური ვითარებაა. არ არის საკმარისად მოსახლეობაზე მისასყიდი მეცხოველეობის პროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, შაქარი და სხვა. იმპერიული ძალები რესპუბლიკის ბლოკადაში მოქცევით ხელოვნურად გვიქმნიან სიძნელეებს. ამიტომ დღეს მთავარია თვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა რესურსის ამოქმედება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება-დაბინავება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესებას.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების 1991 წლის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, დაბინავების, დაცვის უზრუნველყოფისა და რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბი.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად ანალოგიური შტაბი შეიქმნა რაიონის პრეფექტურასთან.

29 აგვისტოს გაიმართა რაიონული შტაბის პირველი სხდომა, რომელსაც წარმართავდა რაიონული შტაბის ხელმძღვანელი, რაიონის პრეფექტი ტარიელ ალავიძე.

შტაბის სხდომაზე განხილული იქნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება სოფლის მეურნეობის 1991 წლის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, გადაზიდვისა და დაბინავების, დაცვის უზრუნველყოფის, ტექნიკური საშუალებებით, ტრანსპორტით, ადამიანური რესურსებით, ენერგეტიკული, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, ინფორმაციული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკურ-სამართლებრივი, სოციალური, ეროვნული, ეკლესიური, ეთნიკური, ეთნოკულტურული, ეთნოდემოგრაფიული, ეთნოფსიქოლოგიური, ეთნოგენეტიკური, ეთნოარქეოლოგიური, ეთნოგეოგრაფიული, ეთნოლინგვისტიკური, ეთნოფილოსოფიური, ეთნოსოციოლოგიური, ეთნოანთროპოლოგიური, ეთნოეკოლოგიური, ეთნოეკონომიკური, ეთნოსამართლებრივი, ეთნოსოციალური, ეთნოეროვნული, ეთნოეკლესიური, ეთნო

რეიდი

სისუფთავეც გაძვირდა?

საზკვების ობიექტებში კვლავ ირღვევა სანიტარულ - ჰიგიენური წესები

მკითხველთათვის უცხო არ არის რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის" რედაქციის მიერ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დაცვის თაობაზე დაწერილი კრიტიკული წერილები, ამ წესებისა და ნორმების დარღვევის ცალკეული ფაქტები, მათი გამომწვევი მიზეზები, რომელთა გამოსწორებისათვის საზკვების გაერთიანების დირექციამ (დირექტორი ს. სილაგაძე) ერთგვარი პრაქტიკული ღონისძიებანი გაატარა. მიმდინარე რემონტი ჩაუტარეს საზკვების რამდენიმე ობიექტს, კაპიტალურად შეაკეთეს ოყურეშის რესტორანი და ქალაქის დიეტური სასადილო, მაგრამ გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ გადაწყვიტა საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად დასახული ძირითადი ამოცანები და პრობლემები.

როგორც ამ დღეებში მოწყობილმა რეიდმა გვიჩვენა, საზკვების უმრავლეს ობიექტებში უხეშად ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური წესები, სანეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმი.

მოუთმენელი მდგომარეობა დაგვხვდა ლაჯანის სასადილოში. აქ არ ყავთ მზარეული. მებუფეტის, მზარეულის, მომტანის როლს ასრულებს ომარ გურგუჩიანი. საწყობში, სასადილო დარბაზსა და ოთახებში უსუფთაობაა, იატაკი, კედლები გაჭუჭყიანებულია, თაროები დამტვერიანებულია.

ჭურჭლის სამრეცხაოში სრული ანტისანიტარიაა, ხის კუნძები დაუმუშავებელია; სამრეცხაოში უქმადაა წყლის გამაცხელებელი. ჭურჭელი უხარისხოდ ირეცხება. ნარჩენების შეგროვება არ წარმოებს თავდახურულ ჭურჭელში, მრავლადაა ბუზი. სანეპიდსადგურის ხელმძღვანელობამ რეიდის მომენტში მიიღო გადაწყვეტილება ლაჯანის სასადილოს ექსპლოატაციის დროებით შეჩერების შესახებ.

უკეთესი მდგომარეობა არც ალპანის სასადილოშია (მებუფეტე გ. ურთმელიძე). სასადილო დარბაზის ფართის ნაწილი გამოყენებულია ტარა—მასალის საწყობად. მაცივრები ჭუჭყიანია. სამზარეულოში არ არის ორგანიზებული პროდუქტთა პირველადი დამუშავების განყოფილება, დარღვეულია ტექნოლოგიურ პროცესთა ნაკადურობა, წყლის გამაცხელებელი გაუვარგისებულია. არ აქვთ სარეცხი საშუალებები. ჭურჭელი უხარისხოდ ირეცხება. სანიტარულ კომისიაზე გატარებული არ არის მომსახურე პერსონალი.

ვერ ვიტყვით, რომ მოვალეობის შესრულებას უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ ორბელის სასადილოს მებუფეტე ს. ნემსწვერიძე და მზარეული ა. მეგრელი, მაგრამ ამ სასადილოშიც ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური წესები და ნორმები. ერთადერთ მოქმედ მაცივარში (სხვები მწყობრიდანაა გამოსული) ინახება ხორცი, ალკოჰოლური სასმელები სხვა პროდუქტებთან ერთად. სამზარეულოში მწყობრიდანაა გამოსული წყლის გამაცხელებელი. ჭურჭლის სამრეცხაო განიცდის ფართის სივიწროვეს. არ აქვს სარეცხი საშუალებები. ირღვევა პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები, რადგან არ ჰყოფნით ტექნიკური საშუალებები და ინვენტარი. უსუფთაობის შედეგია, რომ ობიექტში დიდი რაოდენობითაა ბუზი.

ქალაქის ცენტრში არსებულ ერთადერთ დიეტურ სასადილოში (სადაც არცერთი სახის დიეტური კერძი არ მზადდება), ირღვევა პროდუქტების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი ფართის სივიწროვის გამო. არადამაკმაყოფილებელია სანტექნიკური პირობები. არ მუშაობს წყლის გამაცხელებელი. სივიწროვეა ჭურჭლის სამრეცხაოში, არ აქვთ სარეცხი საშუალებები, რის გამოც ჭურჭლის რეცხვა არადამაკმაყოფილებელია. სასადილო დარბაზში, ბუფეტსა და სამზარეულოში არსებულ უსუფთაობას ემატება ობიექტის ირგვლივ ეზოს უსუფთაობა.

სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევა გამოვლინდა ცაგერის რესტორნის კაფეს სასადილო დარბაზსა და ჭურჭლის სამრეცხაოში. იატაკი ჭუჭყიანი, მოურეცხავი დაგვხვდა. არ წარმოებს მაგიდების თერმული დამუშავება. დარღვეულია ჭურჭლის რეცხვის სანიტარული წესები. დაზიანებულია და უმოქმედოდაა წყლის გამაცხელებელი.

რეიდმა გვიჩვენა, რომ რაიონის საზოგადოებრივი კვების ობიექტების უმეტესობაში არადამაკმაყოფილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სანტექნიკური პირობები, მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ჭურჭლის სამრეცხაოები. ბევრგან არ არის ორგანიზებული პროდუქტთა პირველადი დამუშავების სათავსოები. თითქმის ყველა ობიექტში ირღვევა ხორცისა და მალფუჭადი პროდუქტების შენახვის ტემპერატურული რეჟიმები.

არსებული უწესრიგობანი განაპირობებენ კვების ულუფების მომზადე[illegible] ფრთხო კვების [illegible] ური [illegible] საშიშია ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მომუშავე პერსონალთა ნაწილი არ იცავს პირადი ჰიგიენის წესებს, წვერგაუპარსავი, ჭუჭყიანი ხალათით, თავსაბურის გარეშე მუშაობს პროდუქტთან. მართალია, ყველა ობიექტში არის დაწესებული სანიტარული დღე, მაგრამ ეს ზოგან ფორმალურ ხასიათს ატარებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა დაავადებების უმეტესობის წარმოშობა უსუფთაობისა და სანიტარული წესების დაუცველობის შედეგია. უნდა ვთქვათ, საზკვების ობიექტებში არსებული მდგომარეობა დამაფიქრებელია. მისი გამოსწორებისათვის, საზკვების გაერთიანების დირექციამ უსწრაფესი ზომები უნდა გაატაროს.

ჯ. ყვირილიანი,
ცაგერის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

ნ. მეშველიანი,
საზკვების გაერთიანების ინჟინერ-ტექნოლოგი,

ე. გუგავა,
რაიკოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე,

ვლ. დავითულიანი.
გაზეთ „ლეჩხუმის" განყოფილების გამგე.

მკითხველები გვწერენ

მეზობელო კარისაო...

სხვისი არ ვიცი და მე პირადად, სოფლის იმედს ვუწოდებ მას. ბიჭიკო მამარდაშვილი მართლაც რომ იმედია ჩვენი პატარა სოფლის—მახურასი. ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სოფლის მაღაზია, რომლის გამგეგამყიდველი თავადაა, კეთილსინდისიერად ემსახურება სოფელს, მაგრამ ამჯერად ამ კუთხით არ ვაპირებ ბიჭიკოზე საუბარს. მე მინდა ვთქვა ამ ადამიანში მომეტებულ იმ თვისებებზე, რასაც სიკეთე, მოყვასის, მეზობლის დახმარებისა და თანაგრძნობის უნარი ჰქვია.

რამდენი ფაქტი უნდა გაიხსენო. ყოველთვის თესავს გარეშე თვალისათვის შესამჩნევ თუ შეუმჩნეველ სიკეთეს. განა შეყოყმანდება, დახმარებას თუ სთხოვ. ამიტომაც არავის უკვირს ჭირსა თუ ლხინში იმედის თვალი ამ კაცისაკენ რომაა მიპყრობილი.

ახლა ოჯახს არ იკითხავთ? მისი მეუღლე ქალბატონი ნაზიც სიკეთისა და სათნოების განსახიერებაა, კარგი შვილების აღმზრდელი, შესანიშნავი დიასახლისი და მეუღლე.

შეძლებული, ხვავით და დოვლათით სავსე ოჯახი აქვს ბიჭიკო მამარდაშვილს. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს ოფლითა და გარჯით შენაძენი.

სოფლის, ჩემი ოჯახის, ჩემი ახლადშეძენილი შვილიშვილის სახელით ვუხდი მადლობას დაუზარებლობისა და გაწეული სიკეთისათვის.

ღმერთი და შენი მადლიერი ადამიანების ლოცვა-კურთხევა იყოს შენი და შენი ლამაზი ოჯახის მფარველი.

იორამ აკობიძე.
სოფ. მახურა.

პური საკმარისად ცხვება

ზაფხულის ცხელი დღეებია. სიცხისგან შეწუხებულმა ადამიანებმა სოფელს მიაშურეს, ბევრი სტუმარი ჰყავს ლაილაშს, სადაც გემრიელი, სასიამოვნო დასალევი ცივი წყაროები და მთის სუფთა ჰაერია.

როგორც ადგილობრივ მკვიდრთათვის, ისე სტუმრებისათვის პირველი პრობლემა პურით დაკმაყოფილებაა.

პურის მცხობელები ბორის და ზაირა ხეცურიანები, მალხაზ მესხაძე, პურის გამყიდველი ციალა ჩაჩხიანი მთელი მონდომებით ემსახურებიან ხალხს. ცხვება ხარისხიანი პური, წყვეტილობა არ არის, ხშირად ღამის საათებშიც მუშაობენ, რომ სტუმრებიც და თანასოფლელებიც კმაყოფილი ჰყავდეთ.

მადლობა ვუთხრათ ადამიანებს კეთილი სამსახურისათვის.

ი. მჭედლიშვილი,
პენსიონერი პედაგოგი.

ესეც მომსახურებაა?

ლაჯანური—რიონის ხეობების მცხოვრებთ ცაგერში და ცაგერიდან მგზავრობაში გვემსახურება, თუ ამას მომსახურება ჰქვია, ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსები, მძღოლების დასახელებას მნიშვნელობა არ აქვს იმისათვის, რომ ისინი მოლაპარაკებული არიან ერთმანეთში და ერთი აზრი აქვს ყველას, გასამკეცებითა და გაოთხკეცებით იღებდნენ მგზავრობის ღირებულებას. ისინი გვეუბნებიან კომერციული ბენზინით ვამუშავებთ ავტობუსებსო, რის გამოც ერთი-ოთხად გადიდდა მგზავრობის ფასიო.

ორბელამდე ღებულობენ 1 მანეთს, ლაჯანამდეც 1 მანეთს, ალპანამდე 1 მანეთსა და 50 კაპიკს, ღვირიშამდე 2 მანეთს და გვემუქრებიან კიდეც, თუ ასე არ გადაიხდით, ავტობუსი მთლიანად ამოღებული იქნება თქვენი ზონიდანო.

თუ მართლაც ასეა, რატომ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით არ გვაცნობებს მოსახლეობას, რომ მგზავრობის ფასები გაიზარდა, ჩვენც დავრწმუნდებით და გადავიხდით, წინააღმდეგი არ ვართ, მხოლოდ მძღოლების თავხედობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ისინი არ უნდა ადგენდნენ მგზავრობის ღირებულებას.

ავტოსადგურის მოლარე რაიონის არცერთ მარშრუტზე ბილეთს არ ყიდის, საინტერესოა, რისთვისაა ეს შტატი?

მოვითხოვთ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებმა გვაცნობონ მგზავრობის ღირებულება ყველა მიმართულებით, ამასთან აღკვეთონ მძღოლთა თვითნებობა და დაამყარონ წესრიგი.

მგზავრთა სახელით: **გვიშიანი, ჭაბუკიანი, ახვლედიანი, ირემაძე, ფრუიძე, ლაკვეხელიანი, ურთმელიძე, ფრუიძე და სხვა.**

მადლი ქენი...

ჩხუტელელმა პატარა ბიჭებმა ცხენისწყლის სანაპიროზე ბინულის წყალი შეაგუბეს და ამ სიცხეებში შიგ ჭყუმპალაობდნენ. ბავშვებმა ვერც კი შენიშნეს, რომ სოსო გოგის ძე მეშველიანი გაპარულიყო და სადაც ფარებიდან წყალი ეშვება, იქ გადაშვებულიყო. გამვლელებმა დაინახეს, რომ ბავშვი იხრჩობოდა, მაგრამ წყალთან შებრძოლებას ვერავინ ბედავდა. ამ ყვირილზე საიდანღაც გაჩნდა ჯონი აბელის ძე მურცხვალაძე და წყალში გადაეშვა, მესამე კლასელი სოსო მეშველიანი აშკარა დახრჩობას გადაარჩინა.

გაბედულმა ახალგაზრდამ იქ მყოფთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. ოჯახის წევრები, მთელი სოფელი მადლობას ვუხდით კეთილ და გულად ახალგაზრდას პატარა სოსოს გადარჩენისათვის.

ნოდარ კვირკაშვილი.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: დიდი სამამულო ომის ინვალიდებს დაგვრჩა თუ არა ის შეღავათები, რომლითაც ვსარგებლობდით სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში, რითაც შეგვეძლო რიგის გარეშე გვევაჭრა?

პასუხი: ახალი საპენსიო კანონით დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და მონაწილეთა ინტერესები კი არ შეზღუდულა, არამედ გაუმჯობესდა. ამავე კანონმდებლობით—ისინი კვლავ სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით, მათ შორის რიგგარეშე მომსახურების შეღავათით.

კომპენსაციური წყაროდან

გაიზარდა საპნის ფასი

1 სექტემბრიდან ძალაში შედის სარეცხი საპნის ახალი საცალო ფასები: 72 პროცენტიანისა—75 კაპიკი, 70 პროცენტიანის—60 კაპიკი, 65 პროცენტიანის—55 კაპიკი.

გ. ქომეთიანი,
რაიკოოპერატივის ფასების ეკონომისტი.

მამლებს, რომლებიც დროზე ადრე ყივიან, კლავენო,—ხოდარ დუმბაძე ბრძანებს ერთგან და უსაშველოდ მჯერა, რომ ასეცაა.

მეგონა, ყველაფერს საშველი დაადგა, მართლებისა და ჭკვიანების ხელში აღმოჩნდა ქვეყანა და მეც ფსიქოლოგიურად სამუდამოდ დავიცვენე-ძეთქი, მაგრამ...

ლეჩხუმის წესიერი და გულუბრყვილო ნაწილის ცნობიერება ერთხელაც უნდა დავაკმაყოფილო, ვითარცა მაშინ, დიდი ხნის წინათ.., სხვა უფლება არა მაქვს, მერე თუნდაც „თავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად“.

დიდიან-პატარიანად მშვენივრად იცი, ჩემო ერთგულო მკითხველო, ვინც „არა ჰგავს კახაბერსა“, მაგრამ, რადგან ჩემგან თქმული გირჩევნია, ვიტყვი, ოღონდ—შეფარულად.

* * *

ლილე ლაფარელი:

რამდენი ნაძირალა დადის ქვეყანაზე, კეთილშობილ ადამიანებს რომ გამოსძალავენ ყოველივეს, სინდისსაც რომ გაყიდვინებენ, ისეთები, მერე სიკვდილადაც რომ გაგამწესებენ და...

უსამართლობას სიმართლის ენაზე რომ ველაპარაკები, გათახსირებულობას ზნეკეთილობის ლექსიკონში რომ ვახედებ, ტვინი მაქვს ახლა მე?

რა გვიან მივხვდი, საკუთარი თავისთვინა და სხეულისთვინა რომ არ მქონია ტვინი, არა, გადამეტყუებინა მეც ხელები ადგილობრივი ხელისუფლების სიტყვათქმადობისას ტაშის კვრაში, არ მომირჩებოდა თუ რა? ვყოფილიყავი პარტიის ერთგული მეთვალყურე ოქტომბრის 28-ში, ხომ ვიქნებოდი ახლა ნებიერად გაშხლართული რომელიმე საგარეელში, ხომ მოვიგებდი ეროვნულ ომს კი არა, თანამდებობრივ ომს, ა?! ისე—ღმერთი აღარაა? იმათთან ერთად ძაინც დამსაჯეთ და წარიღეთ სიცოცხლე ჩემი, ვინც მართლა ეროვნულ-სოციალურ ომში იყო „სიყრმითგან თვისით“...

გარამია გარათელი:

რას ვათრიე ეს ბარათები და პროკლამაციები თბილისსა და ლეჩხუმს შორის, ვის უნდოდა გამასახურდიასა და კოსტავას აზრი, ვინ გიჭერდა მხარს; ის კი არა, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს-თქვა, მიკროფონთან რომ დავიძახებდი, სულწესიერი და გულწესიერიც არ უკრავდა ტაშს. სატანა კომუნისტების შეურაცხყოფაზეც 10-15 თუ დამიძახებდა—მართალი ხარო.

არა, ხალხი ბრბო არაა, არ დავიჯერებ ამას, მაგრამ რა ექნა, შიში შეიქმს სიყვარულსაო, სძულდათ და ვერ ბღაოდნენ, შვილს თვალწინ ტყვიის წერას გუუხდიდნენ და ვერ კიოდნენ.

აღარ მიკვირს, აღარა, საკუთარი სიცოცხლის ფარვანები რომ ხართ უმეტესობა; აბა, ბოროტებას მარტო 10 ჩემნაირი რას უზამდა. ვისაც ვებრძოდით, ისინი გაგვიბატონდნენ თქვენი ხელისშეწყობით, გვიანღა მიხვდით, კეთილო ადამიანებო, რა ძალა ჰქონია კომუნისტურ მაფიას, საბჭოთა ხელისუფლებას რა მოკლავს ლეჩხუმში, ტრადიციები არ გვიწყობს ხელს თუ რა... ნიღაბშეცვლილი ადამიანია ყველაზე უნდო და საშიში, სიკვდილზე საშიში... მე არ მშინებია, არც ახლა მეშინია, ეროს ვდარდობ მხოლოდ—ვეღარასოდეს ეღირსება „ლუხუმს ლაშარის გორზე შატგომა“, რადგან თავის თავზე ფიქრობს ახალი ხელისუფლება, ხალხი და ქვეყანა, გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, კი „ფეხებზე ჰკიდია“.

ხმამაღლა ფიქრი რომ ვისწავლე, ამით მაინც ხომ ვჯობივარ იმათ, რომელთაც საკუთარ ფიქრთან მარტო დარჩენის ეშინიათ და გამუდმებით რაღაც „შტაბებს“ აფარებენ თავს.

...ასეთი ფიქრისთვისაც ღირდა იქნებ სიკვდილი...

ნია-ნია ქარიძე:

—ჭორებს თავი დაანებეთ და საქმე აკეთეთ, თორემ მოგივათ 37 წელი... რამდენჯერ გაგვაფრთხილა მთავრობამ, ვითომ იმ ჭორების გავრცელება, რომელიც მერე ზუსტად ახდება—ხოლმე, საქმე არ იყოს და ახალი ხელისუფლების უსაქმურობა და უთაურობა იყოს საქმე...

მაინც მკლავენ და ბარემ ერთხელაც გავიმეორებ ხალხში ყურმოკრულ ნაჭორავებს:

—ჩვენთვის ქე აგზავნის გამასახურდია ცოტ-ცოტა რაღაცეებს, მარა ან არ მოაქვს ხელძღვანელობის ხელშეწყობით ვაჭრობის ხალხს, ან კომერციულებში ტოვებენო... რა გახდა, შე კაცო, იმის შემოწმება, რა უნდა მოდიოდეს, რა მოდის და სად მიდის, ა?!

—ჩემი მმართველი, მამა და მარჩენალი უფროსი ახლაც სკკა წევრია, და ვერ გავიგე, ბატონო, დავამარცხეთ კომუნისტური პარტია თუ ვერა?

—ბიჭა, ორი კაცისთვის ატარეთ ამდენი მიტინგები და ათასი რამეები, გაგვაცდინეთ ხალხი, გეთხოვათ, იმ რაიკომის მდივნისთვისა და აგროსამრეწველოს უფროსისთვის და ისე წავიდოდნენ სამსახურიდან, ისე გავიდოდნენ კომპარტიდანაც...

—2-3 კაცი ვარგა მილიციაში, კაპეიკს რომ არ ეიღებენ არასოდეს და თავს რო დადებენ საქმისათვის, დანარჩენი დასაჭერია თვითონ და ვის დეიჭერენ ეგენი? ახალი შევსებაც ისეთი მივიდა, ჭამ-სმა და ქალებიც აღარ ახსოვთ თურმე ჩვენი ჯავრით...

—კომერციული მაღაზიები და კოოპერატივები წესიერი და მშრომელი ხალხის საყვლეფად მოგონილი რომაა, არ უნდა ამას დასტური, ერთიც მიკვირს, წესიერი ხალხისათვის არანაირი წყობილება არ არსებობს ნეტავი?!

—ისე, ვისაც ებრძოდნენ, რა თქმა უნდა, უსისხლოდ ანუ იდეოლოგიურად, ვინც ამ ეროვნული მოძრაობის ხალხს ჩასძახოდა, მალე დაგაყენებენ კედელთანო, ისაა ახლა უფროსიც და უმცროსიც.

—ზოგს არაფერი რომ არ უსწავლია უქნარობისა და ავაზაკობის მეტი, ჭკუაზე გვარიგებს და გვემუქრება, კაღრების შერჩევაში ნუ იკითხავთ, რა ამბავია, ახლა, თურმე, აგრონომს კულტურის სახლში უშვებენ არტისტების უფროსად და არტისტი...

ზეზვა ცენაძე:

რას დამგვანებიხართ, ხალხო... ენა წაგრთმევიათ და ფერ-ფური დაგკარგვიათ, გიხაროდეთ, „ნუ სტირთ დანნო ჩემნო და ძმანნო ჩემნო“, რადგან კაცურად ვკვდები და ზეციური ნათელი მიმეღის.

სადა ხარ ახლა, ილია მართალო, რანაირად მჭირდებიმე და ამ ადამიანებს, რამდენი ატრიალე წყევლა-კრულვიანი კითხვა—„ვინა შრომობდა და ვინა ძღება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი“ და ვერ გაეცა პასუხი. ვეღარც ვერავინ უპასუხა სხვამ და მეც იგივეს ვკითხულობ ახლა, გამწარებული.

კი მარა, „ბაყაყებს ყიყინისათვის“ არცერთ ნორმალურ და არანორმალურ ქვეყანაში არ კლავენ და რანაირადაა საქმე ამ ლეჩხუმში მოწყობილი, თუ არ მიკვირდეს, მე მოვკვდე.

ახია ჩემზე ყველაფერი! „მრგვალი მაგიდა“ რომ შუაზე გაიხლიჩა, მაშინ რომ „მაფიოზური რკალის მოთხრობების“ გმირი გავმხდარიყავი, ხომ ამცდებოდა ეს „უფერული სიკვდილი“?

ბედის ირონია—ვინც დედას აგინებდა გამსახურდიას ვინემ არჩევნებში გამარჯვებამდე, ახლა მე მიკრძალავს მთავრობის ხსენებას და სულს მაცლის პირიდან...

მანონი ხვედელიძე:

არა, იქნება, არც ისე ტრაგიკულადაა საქმე, იქნება ამ სიკვდილმა ათასები გამოაფხიზლოს, ასე იყო ბუმბერაზი ნაპოლეონის დროსაც—დიდი ბრძოლის შემდეგ ავაზაკებს რჩებოდა მოედანი, ენთუზიასტებს კი ივიწყებდნენ. დროებითია ეს პროცესი... იცის ხალხმა, რომ ავაზაკი მარტო მასზე დიდ ავაზაკს ენდობა, ამიტომაცაა ხელისუფლებაში მათთვის სანდო და საიმედო ადამიანები და არა—ხალხისათვის სანდო და საიმედონი, არჩეულებს არ ვგულისხმობ, თუმცა ვერც ისინი ამართლებენ, რაც პაატა ბარათაშვილზე გაზეთ „თბილისში“ წერია მის მერე...

ერთი დიდი დარდი კი მიმყვება სამარეში—შიმშილის დარდი. ხვალ-ზეგ იკითხავს ეკონომიკური შეჭირვებით კისრამდე ამოვსებული კაცი: „ყველა-ყველა და ამეღამ ვახშად რა გვაქვს?“ და ხელახლა დაიწყებს მაძღარი ქვეყნის ძებნას და ინტერნაციონალიზმში ვარჯიშს.

საუბედუროდ, ყველაფერი სოციალურ პრობლემამდე დადის: „ცარიელი მშვიდობა“ და თავისუფლება არ უნდა ხალხს. არა და რა სჭირს საშიშროებ ლეჩხუმს, რატომ უნდა იყოს საძებარსახელოწარი ლობიო და ყველი, ხორცი და კვერცხი, საფქვავი და საცხობი, ხილი, კარტოფილი, მწვანილი... ტანსაცმლის წარმოებას არავინ გთხოვთ, ხელისა და ტვინის განძრევა უნდა, მოხმარებისა და ეკონომიკური აზროვნების გამოფხიზლება და იქნება საკვები. ხალხს ნუ აუბუნტებთ ზვიადს, ეროვნულ გმირს შეურაცხყოფა არ მიადგეს თქვენით და მხოლოდ თქვენით.

—„კარგი რამ მჭირდეს—გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“,—ვიმეორებ დიდი წინაპრის სიტყვებს და მშვიდად ველოდები მიქელ-გაბრიელს, ეროს კი გთხოვთ სიკვდილის წინ, თუ გინდათ, ცოტა ხახს მაინც არ წამოგემხოთ ლეჩხუმის ანგისფერი კლდეები თავზე, გაზეთში ჟურნალისტი ამუშავეთ, მასწავლებელი სკოლაში გაუშვით, ვისაც იურიდიული განათლება აქვს—მილიცია-პროკურატურაში, ეკონომისტი—რაიკავშირში, ზოოტექნიკოსი ფერმაში, ხელოვანი—კულტურაში, ხელოსანი—სახელოსნოში... იმას ნუღარ მოახერხებთ, რაც კომპარტიამ „მოახერხა“—მრავალი სპეციალისტიდან მაღალკვალიფიციური არასპეციალისტი რომ ამოარჩია და დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნა...

გაბრიელ სალოსი:

რაღა მაქვს საოქმელი, ყველაფერი ითქვა უკვე და გეთანხმებით, გადათქმას ვეღარ მოგასწრებთ...

გაორებული და გულუბრყვილო კაცის პირობაზე რას ველოდი უკეთესს, სად მივწვდებოდი ცაში ვარსკვლავს, ვინ მოიცლიდა პატიოსნებით სავსე ადამიანისათვის, რანაირად მინდოდა სამართლებრივი, სასურველი სახელმწიფო მეხილა, ადამიანების შერყვნილი უფლებები დამეცვა... იმპერიისგან გადარჩენილს, საქართველოს შინაური მტრები მკლავენ... ვერ გაგიკითხავთ კარგად. ვიყავი კი საშიში თქვენთვის, ან თქვენგან სასიკვდილო?

ჯარჯი ჯილაური:

ჩემს სახელს ამოფარებულებმა მომიცილეს, კი ვხვდები ამას მე... რა ეთიკისა და ესთეტიკის პატრონს ერევიან, ძაღლისშვილები?!

ვიცი, ხალხო, ისეთი გარჩევნეთ, როგორიც ვიყავი, ყველანაირი ფსიქოლოგიის ადამიანები კარგად მიცნობდნენ, ეს ფაქტია, და „წუთისოფელი ბრბოა—რჩენოდი ბოლომდე“?—ოა იქნებოდა უფრო დიდი გმირობა! მაღალმა სკამმა საოცრად დამაპატარავა, ძოელია სამოსელში ვერ გავძლებდი, ვიცოდი ესეც, მაგრამ „პრინციპმა“ დამღუპა...

სიკვდილს არ ეჭირდები მე, მაგრამ ეტყობა არც ზვიადის მტრებს ადარ ეჭირდები და...

რაგინდ არაზნეობრივი და არაეთიკურიც უხდა იყოს ეს ნათქვამი, მაინც ვტოვებ აღსასრულებლად: „ალაგ კაცს და ტოროლას“ ნურავინ მოკლავს, ნუმცა—ნურვის! გაუმაძღარ და უმადურ ბობოლებს წარსტაცეთ მარტო, შეგარგოთ მამაზეციერმა ეგებ...

* * *

საკუთარი თავის სიყვარული თუ მკლავს, ხოტბას შეავსხამდი მხოლოდ სამოსელშეცვლილ მთავრობას ჩვენსას და წყალობაც არ მომაკლდებოდა, მით უფრო, რომ დათა თუთაშხიას არ იყოს, მე ჩიტივით თავისუფალი ვიყავი მუდამდღე, წყობილების მონა არ ვყოფილვარ არასოდეს და არც სამომავლოდ ვაპირებ ყოფნას ტყვეობაში, მაგრამ საამქვეყნო და საამხალხო სიყვარულის გამოჯახირი და მიხვედრა უნდა ამას.

რაღა საჭიროა თუხდაც ეს რომანტიკული ამბოხი,—იკითხავს ვინმე, მთელი საქართველო ისედაც ეროვნულ ომშიაო. ვიცი, ბატონებო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ იყო დიდი სამამულო ომი და იყო უფრო სამამულოც—1942 წლის ქართული ჯანყი—„სამანი“.

—პარალელში, ეპილოგში და კომენტარში, ლადო ასათიანისა არ იყოს „მე ხალხს ვენდობი ყველაზე მეტად“.

ლელა ლომთაძე

რედაქტორი ნ. ნემსაძე

ცაგერის სამხატვრო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისთვის

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ სპეციალობებში: **ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია.**

სკოლაში ჩარიცხვის მსურველებმა მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება, დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა მშობლების საქმიანობის შესახებ, ცნობა და დასასიათება სკოლიდან, ოთხი ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

სკოლაში მიიღებიან 9-დან 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდები (გოგონები და ვაჟები).

საბუთების მიღება იწარმოებს 1991 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე სკოლის დირექციაში.

სკოლაში მისაღები გამოცდების დაწყებამდე ყოველდღე (გარდა კვირა დღისა) 3-დან 5 საათამდე ჩატარდება კონსულტაციები.

გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს დილის 9 საათიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას. სწავლების ვადა 4 წელი.

სკოლის მისამართი: რუსთაველის ქუჩა 43, ტელეფონი 27-95

სკოლის დირექცია.

პუბლიცისტური ნოველა

„დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“

(ლეჩხუმური ვარიანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის სასწავლებელი (ყოფილი №42 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი)

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისთვის

სასწავლებელში შეისწავლება ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის კერვა. მიიღებიან გოგონები 9 და 11 კლასის განათლების ბაზაზე.

9 კლასის განათლების ბაზაზე სწავლების ხანგრძლივობა 2 წელია. 11კლასის განათლების ბაზაზე კი 1 წელი. 9 კლასდამთავრებულები სპეციალობასთან ერთად მიიღებენ საშუალო განათლებას.

ორივე კატეგორიის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, როგორც დღის, ისე საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე სასწავლებლის დამთავრებისთანავე.

სტიპენდია 40 მანეთიდან 110 მანეთამდე.

კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან პროფესიის შესაბამისი სამუშაოთი ქალაქის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებსა და კოოპერატივებში.

სასწავლებელში გარდა კერვისა შეისწავლება დამატებითი პროფესიები ქარგა, ქსოვა, საოჯახო მედიცინა.

სასწავლებელში მიღება მოხდება გასაუბრებით. ჩარიცხვის დროს უპირატესობა მიეცემათ ობლებს, მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს.

განცხადება მიღების შესახებ იწერება დირექტორის სახელზე.

განცხადებას თან ერთვის: ატესტატი (მოწმობა) განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086 უ), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ფოტოსურათი 4 ცალი ზომა 3X4.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას.

მისამართი: ქ.ქუთაისი, კოსმონავტების ქ. № 65, ტელეფონი 6-31-75, 6-79-25.

სასწავლებლის დირექცია.

ცაგერის № 91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის შემდეგ სპეციალობებზე: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი-ფერმერი, ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე, სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის მონტიორი.

საშუალო სკოლადამთავრებულთათვის—ავტოშემკეთებელი-ზეინკალი, ცხოველთა ვეტდამუშავების ლაბორანტი.

სასწავლებელში მიიღებიან 15-დან 17 წლის 9 კლასის განათლების მქონე გოგონები და გაუები, ხოლო ერთწლიანი სწავლების ჯგუფში 17-დან 30 წლამდე საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი მოსწავლეებს ეთვლებათ უწყვეტ შრომის სტაჟად.

მსურველებს შეუძლიათ ქვე დეუფლონ დამატებითი პროფესიის სახით მდივან-მემანქანის და მქსოველის პროფესიას.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო ბინით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლით, სტიპენდიით (50-60 მანეთი).

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ საშუალო განათლების დიპლომს და პროფესიის მიხედვით მიენიჭებათ თანრიგი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადება შემოტანილი უნდა იქნას დირექტორის სახელზე არჩეული პროფილის ჩვენებით.

ფერმერთა პროფილზე შემსწავლელთათვის ჩატარდება მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკა (წერა).

განცხადებას თან უნდა დაერთოს განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა 286), ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ფოტოსურათი (3X4).

შენიშვნა: საბუღალტრო აღრიცხვის პროფილი გაიხსნება იმ შემთხვევაში, თუ მსურველთა რიცხვი მიაღწევს 25 მოსწავლეს.

ერთწლიანი სწავლების მოსწავლეთათვის სწავლება დაიწყება 1 ოქტომბერს.

სასწავლებლის მისამართი:

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა 66 ტელეფონი 23-61, 29-83.

სასწავლებლის დირექცია.

ჩვენ ვილოცავთ

ჟენია ბოგოლიუბოვს

ილოცავთ შვილის, ლაშას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

პეტრ ფუტკარაძე, ნოდარ მუშკუდიანი ოჯახებით

მარიკა ვასილის ასულ ფილიშვილს
დათო ნუგზარის ძე მამარდაშვილს

ილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

დარეჯან ლეთოდიანს
ზაურ გუგავას

ილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

მერაბ, იზა, ტატო, ლელა, თეა დავითულიანები.

ნაზიკო ხეცურიანს
რეზო კოკალიანს

ილოცავთ შვილების მაკასა და მირიანის ბედნიერებას. ხიხარულით ეელოთ ცხოვრების გზაზე.

აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები.

ნანული და ნუშარ ლეთოდიანებს

ილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს კაი უმად თავისუფალი საქართველოს საიმედოდ.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ამალი და ნოდარ მესხაძეებს

ილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. დღეგრძელი ყოფილიყოს მისი ოჯახი. ვუსურვებთ შვილთა სიძრავლეს და სიხარულს.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

იზო შალვას ასულ კალანდაძეს

ილოცავთ შვილის, ნანას ბედნიერებას. ღმერთმა ამრავლოს მათი ახლადშექმნილი ოჯახი.

ჯანიკო ლეთოდიანი, ჯუმბერ ბენდელიანი, კოლია ფუტკარაძე, ჯონი ხმელიძე, დალოსტი სვანიძე, ელიშუქ, გივი, გიზო ახვლედიანები, ჯუმბერ საღინაძე, ივანე, როლანდ სილაგაძეები, მერაბ ბურჯალიანი ოჯახებით.

მეუღლე ქსენია, შვილები ამალი, ია, მზია, ბეკო, მარინე, შვილიშვილები მარიკა, გიორგი, ნათია, მაია, თამთა, ცოლისძმა კაპიტონ ცოლისდა ნორა ბურჯალიანი, რძლები დარეჯანი, ძაძუ, ენძელა, სიძეები ლერი ტვილდიანი, გელა გუგავა ძმისშვილები მიშა, ბუჭუ, დისშვილები, ძმისშვილიშვილები, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ ეფრემის ძე გურგუჩიანი.

დედა ნინო, მამა მერაბი, ძმა თემური, და ანა, ბებია-ბაბუები ელისაბედი, მერი, მურთაზ გოლოძეები, დოდიკა, ვანო ჩაჩხიანები, ბიძები ზური გოლოძე, ბიქტორ ჩაჩხიანი, ბიცოლები რუსუდანი, ეკა; ვანო, თამაზ, რეზო გოლოძეები, მარო, გუგავა, ვალენტინა გიორგობიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი მერაბის ძე გოლოძე.

დაკრძალვა 7 სექტემბერს, შაბათს სოფ. ლაილაშში.

რამაზ ახვლედიანი, საშურა გოგიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი მერაბის ძე გოლოძე.

რომან კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

არველოდი ბენდელიანი.

უახლოესი მეზობლები ბორის, ავთო, მამუკა, ოთარ ჩხეტიანები, რაფდენ ხეცურიანი, კაკო, არეყურაშვილები, გრიშა, თამარ, ზურაბ ახვლედიანები, შალვა ჩარკვიანი, ლადო ხმელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა ანთიმოზის ასული ახვლედიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დისშვილები ბაძინა, ნოდარ, ვალოდია, ჯიუ, იუზა, ზაურ, ძერი ბურჯალიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ ეფრემის ძე გურგუჩიანი.

ანზორ ტვილდიანი, ვალოდია თოდიძე, კაკო შეშელიანი, რუბენ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ია და ლერი ტვილდიანებს

გრიგოლ გურგუჩიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ეკატერინა, შვილი ინგა, დედა ლადი, სიდედრი სანა ბუნიძე, ძმები ჯეირანი, კაკო, ამირანი, დები თალიკო, კლარა, მანანა, რძალი ზაირა, სიძე ჯამბური, ძმისშვილი კობა, დისშვილები კახა, გიგა, გაგა, მონიკა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები — იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (ხუტა) რაუდენის ძე კოპალიანი

დაკრძალვა 7 სექტემბერს, შაბათს სოფ. ხუბში.

გურამ დავითულიანი, კაკო ლაპარტელიანი, ჯემალ, მურთაზ კოპალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ია და ლერი ტვილდიანებს მამისა და სიმამრის

გრიგოლ გურგუჩიანის

გარდაცვალების გამო.

ჯემალ ცვარიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

არველოდი ბენდელიანი

დათანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლასტრიაშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ბიჭიკო ფანჯარაძეს დისშვილის

როინ ნემსწვერიძის

გარდაცვალების გამო.

დისშვილები ძაძუ, დავითი, დალმანდი, ბორის ჩხეტიანები, სიძეები ვაჟა ჭაბუკიანი, ილუშა ლუშკაშელი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სპირიდონ დავითის ძე ხუციძე.

უახლოესი მეზობლები და ნათესავები ქორა, თემურ, იუზა, ომარ, ზურაბ, ელგუჯა, მურთაზ, შალიკო გურგუჩიანები, დიტო, მერაბ, შოთა, ბიძინა, ნოე ბურჯალიანები, გოგი სალინაძე, გერონტი კვენტაძე, ბელა, ვიტალი გოგებაშვილები, ბადრი გზობავა, მამუკა ნემსწვერიძე იუწყებიან

გრიგოლ ეფრემის ძე გურგუჩიანის

გარდაცვალებას.

ალვის საკრებულოს, საქმიო უბნის, კლუბ-ბიბლიოთეკის, კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მედიკო, გივი ახვლედიანებს დედამთილისა და დედის

ნინა ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

დედა ბაბი, მეუღლე ნათელა ჩარკვიანი, ძმები ჭერქანი, მურთაზი, ბადრი, დები ძანანა, ციცო, სიძეები ზურიკო ქოჩიაშვილი, ბეჟან ჯულაყიძე; რძლები ნანა, მაგული, ლილი, ძმისშვილები, დისშვილები ფატიმა, ამირანი, მირანდა, დათო, ლევანი, ეზია, ლია, ავთო, ნესტანი, ფიქრია, დათო, მიშა, სიდედრი, სიმამრი, ცოლისძმა, ცოლისდები, ბიძები, ბიცოლები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არველოდი (კიკო) აბესალომის ძე ბენდელიანი

დაკრძალვა 10 სექტემბერს, სამშაბათს, 17 საათზე სოფ. ქულბაქში.

რეზო გოლოძე, ლევან ცხვედიანი ოჯახებით იუწყებიან პატარა

გიორგი გოლოძის

გარდაცვალებას.

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ნაზი გუგავას მამამთილის

გიორგი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ნათელა ცხვედიანს ბიჭაშვილის

იუზა ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

ია, ბუჭუ, ბორის გურგუჩიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ ეფრემის ძე გურგუჩიანი.

ზეურ ყურაშვილი, გრიგოლ ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა ანთიმოზის ასული ახვლედიანი.

ბესიკ, თემურ, თენგიზ კოპალიანები თანაუგრძნობენ მურშან, მურთაზ, ბადრი ბენდელიანებს ძმის

არველოდი (კიკო) აბესალომის ძე ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.